

I6 სექტემბერი September

12:00

Marc Bouchkov / violin
Blythe Teh Engstroem / viola
Alexander Ramm / cello
Elena Bashkirova / piano

Franz Schubert (1797 – 1828)
Trio for Violin, Cello and Piano No. 1 in B-flat Major, D. 898
Allegro moderato
Andante un poco mosso
Scherzo. Allegro - Trio
Rondo. Allegro vivace - Presto

Robert Schumann (1810-1856)
Quartet for Violin, Viola, Cello and Piano in E-flat Major, Op. 47
Sostenuto assai – Allegro ma non troppo
Scherzo. Molto vivace – Trio I – Trio II
Andante cantabile
Finale. Vivace

მარკ ბუშკოვი / ვიოლინო
ბლაიტ ტე ენგსტრომი / ალტი
ალექსანდრე რამი / ჩელო
ელენა ბაშკიროვა / ფორტეპიანო

ფრანც შუბერტი (1797 – 1828)
ტრიო ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის No. 1 სი ბემოლ
მაჟორი, D. 898
Allegro moderato
Andante un poco mosso
Scherzo. Allegro - Trio
Rondo. Allegro vivace - Presto

რობერტ შუმანი (1810-1856)
კვარტეტი ვიოლინოს, ალტის, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის მი
ბემოლ მაჟორი, თხზ. 47
Sostenuto assai – Allegro ma non troppo
Scherzo. Molto vivace – Trio I – Trio II
Andante cantabile
Finale. Vivace

ფრანც შუბერტი

ტრიო ვიოლინო, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის No. 1 სი ბემოლ მაჟორი, D. 898

შუბერტმა თავის პირველ საფორტეპიანო ტრიოზე მუშაობა დაიწყო 1827 წელს, დაასრულა კი - 1828 წელს, სიცოცხლის უკანასკნელ წელს. გასაოცარია, მაგრამ 1827-1828 წლებში, სიკვდილის წინ, კომპოზიტორმა შექმნა შედევრების მთელი კასკადი; მათ შორისაა სამი საფორტეპიანო სონატა, ორი საფორტეპიანო ტრიო, სიმებიანი კვინტეტი, ფა-მინორული ფანტაზია, ვოკალური ციკლი "ზამთრის გზა" და მეთექვსმეტი სიმფონიის მონახაზები. ავადმყოფობამ და მელანქოლიამ მოიცილა შუბერტის ბოლო თვეები და ეს აირეკლა კიდევ ამ ნაწარმოებების უმეტესობაში, მაგრამ არა პირველ საფორტეპიანო ტრიოში. ეს არის ნათელი, ლაღი თხზულება, აღსავსე სინათლითა და სიხარულით. თუმცა მისი ბედი საკმაოდ დრამატული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ შუბერტის მეორე საფორტეპიანო ტრიო, შექმნილი დაახლოებით იმავე დროს, საჯაროდ შესრულდა და გამოქვეყნდა კიდევ შუბერტის გარდაცვალებამდე, სი-ბემოლ მაჟორული ტრიო არასოდეს აჟღერებულა და დაბეჭდილა კომპოზიტორის სიცოცხლეში. მხოლოდ შუბერტის გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინა იგი ხელნაწერთა გროვაში ფერდინანდ შუბერტმა, ძმამ. დავიწყებული ტრიო საბოლოოდ 1836 წელს დაიბეჭდა. აღფრთოვანებულმა რობერტ შუმანმა თავის მუსიკალურ ჟურნალში დაწერა: „თვალს შეავლებ შუბერტის ტრიოს და ჩვენი ადამიანური არსებობის პრობლემები ქრება; სამყარო თითქოს ნათდება ახალი ფერებით... დრო, რომელიც სულ ბადებს მშვენიერს, ალბათ მალე ვერ გვაჩუქებს კიდევ ერთ შუბერტს“. როგორც ყოველთვის, შუმანი მართალი იყო თავის წინასწარმეტყველებაში.

რობერტ შუმანი

კვარტეტი ვიოლინოს, ალტის, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის მი ბემოლ მაჟორი, თხზ. 47

შუბერტის საფორტეპიანო ტრიოზე სტატიის გამოქვეყნებიდან ექვსი წლის შემდეგ შუმანმა შექმნა „ფანტასტიკური პიესები“ საფორტეპიანო ტრიოსთვის, ასევე სამი სიმებიანი კვარტეტი, საფორტეპიანო კვინტეტი და საფორტეპიანო კვარტეტი მი ბემოლ მაჟორი. 1842 წელს ხშირად უწოდებენ შუმანის "კამერული მუსიკის წელს". საინტერესოა, რომ კომპოზიტორი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ძირითადად მხოლოდ ერთ ჟანრში მუშაობდა, იქნებოდა ეს საფორტეპიანო, ვოკალური თუ საორკესტრო მუსიკის ჟანრები. საფორტეპიანო კვარტეტი იწერებოდა 25 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე. მიეძღვნა ის გრაფ მატვეი ვილხორსკის, რუს მოყვარულ ჩელისტსა და შუმანის მფარველს. შედეგად, ჩელოს პარტია გამოირჩევა ულამაზესი სოლირებადი მონაკვეთებით. მიუხედავად ამისა, მთავარი როლი ენიჭება მაინც საფორტეპიანო პარტიას, რომელიც შუმანმა საყვარელი მეუღლისთვის, ბრწყინვალე პიანისტისთვის, კლარა შუმანისთვის დაწერა. კლარაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა კვარტეტმა. "მშვენიერი ნაწარმოებია, ისეთი ახალგაზრდული და უმანკო, თითქოს მისი პირველი თხზულება იყოს", - წერდა იგი დღიურში. კვარტეტის პრემიერა შედგა 1844 წლის 8 დეკემბერს, ლაიფციგში, შუმანების გამოსამშვიდობებელი კონცერტის ფარგლებში - სულ მალე ოჯახი დრეზდენში გაემგზავრა. პირველი შემსრულებლები იყვნენ იმ დროის უდიდესი მუსიკოსები - კლარა შუმანი, მევიოლინე ფერდინანდ დავიდი, ალტისტი ნილს გედი და ჩელისტი ფრანც კარლ ვიტმანი.

ამ დროს საქართველოში...

პირველი ქართული საფორტეპიანო ტრიო შუბერტის ტრიოს შექმნიდან 116 წლის შემდეგ დაიწერა. შალვა თაქთაქიშვილმა (1900-1965), რომელიც ქართული კამერული მუსიკის ფუძემდებლად ითვლება, 1944 წელს შექმნა პირველი ქართული საფორტეპიანო ტრიო. ამ მოვლენამ არაერთი ქართველი კომპოზიტორი შთააგონა, ემუშავა ამ ჟანრში. აი საფორტეპიანო კვარტეტმა ნაკლებად დააინტერესა ქართველი კომპოზიტორები. 1993 წელს დაწერა სულხან ნასიძემ "მეტამორფოზები" - პირველი ნაწარმოები შექმნილი საფორტეპიანო კვარტეტის შემდაგენლობისთვის. დღემდე მხოლოდ სულ რამდენიმე კომპოზიტორმა მიბაძა მას.

Franz Schubert

Piano Trio No. 1 in B-flat Major, D. 898

Schubert started working on his First Piano Trio in 1827, completing it in 1828 – in the last year of his life. It is astonishing that in 1827-1828, just before he died, Schubert produced a cascade of masterpieces including three piano sonatas, two piano trios, the string quintet, F Minor Fantasy, the song cycle “Winterreise” and drafts of his Tenth Symphony. The illness and melancholy that filled the composer’s life in his last months penetrated most of those works, but not the First Piano Trio. It is a bright, cheerful opus, full of light and joy. Though its fate turned out to be quite dramatic. While Schubert’s Second Piano Trio, composed about the same time, was performed in public and published before Schubert’s death, the B-flat Major Trio had never been played and printed in Schubert’s lifetime. Ferdinand Schubert, the composer’s brother, found it in a pile of manuscripts only after Schubert’s death. In 1836, when the forgotten Trio was finally printed, Robert Schumann, full of enthusiasm, wrote in his musical journal: “A glance at Schubert’s trio and the troubles of our human existence disappear; the world glows with a new splendour...Time, though producing much that is beautiful, will not soon produce another Schubert.” As always, Schumann was right in his prediction.

Robert Schumann

Quartet for Violin, Viola, Cello and Piano in E-flat Major, Op. 47

Six years after publishing the article about Schubert’s First Piano Trio, Schumann composed a set of “Phantasiestücke” (Fantasy Pieces) for piano trio, as well as three String Quartets, Piano Quintet and his Piano Quartet in E-flat Major. 1842 is often called Schumann’s “Year of Chamber Music.” Interestingly, Schumann tended to devote himself to a certain genre at a time, concentrating throughout certain periods mainly either on piano music, lieder and orchestral work. The Piano Quartet was composed between October 25 and November 26. It was dedicated to Count Matvei Wielhorsky, an amateur Russian cellist and Schumann’s patron. As a result, the Trio features prominent solos for the cello. Though the central role is assigned to piano part that Schumann composed with his beloved wife, the brilliant pianist Clara Schumann, in mind. Clara was impressed by the quartet, characterising it in her diary as “a beautiful work, so youthful and fresh, as if it were his first.” The Quartet was premiered on December 8, 1844, in Leipzig, as part of a farewell concert for the Schumanns who were leaving for Dresden. The performers included Clara Schuman, violinist Ferdinand David, violist Niels Gade and the cellist Franz Karl Wittmann.

Meanwhile in Georgia

The first Georgian Piano Trio was composed 116 years after Schubert wrote his B-flat Major Piano Trio. Shalva Taktakishvili (1900-1965), considered a pioneer of chamber music in Georgia, composed the first Georgian Piano Trio in 1944, inspiring many Georgian composers to work in this genre. Interestingly, the genre of piano quartet did not appeal to Georgian composers to the same extent. Only in 1993 did Sulkhan Nasidze write the first work, “Metamorphosis”, for violin, viola, cello and piano, followed by just a few composers.